წელიწადი მეორე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი კომბალი

ფასი 5000 მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველდღიურათ მასალები მიიღება რედაქც. 9—3 საათ. ყოველ დღე.
რედაქ. მისამ.: საპიორ. ქ. № 30.
პირველი სართული.

კვირა 19 ნოემბერი
1922 წ.

№ 146 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო № 146

განცხადება

თბილისში ჩ მოსული საპერეგისტრაციო და გამწმენდი კომისია საქ. ჯარებში მყოფ კომუნისტთა პირად შემადგენლობისა ამა რიცხვიდან უდგება პერეგისტრაციას და წმენდას სამწყობრო ნაწილებში, სამხედრო სამმართველოებში თბილისის გარნიზონის ფარგლებში ს. ს. ს. რ. სამხედრო და საზღვაო კომისარიატის დაწესებულებებში და მცველ მხლებელთა ნაწილებში.

კავკასიის ცალკე არმიის თბილისის გარნიზონის ყველა ბ ურო კოლექტივის და კომუჯრედ ბის მდივნებს ევალებათ დაუყონებლივ დაამზადონ საჭირო პარტ.-მანდატები საქართველოს კომპარტიის წევრებზე, რომლებსაც სხვა და სხვა მიზეზების გამო არგაუვლიათ წმენდა კ. ც. არმიაში-კამისიაში წარმოსადგენათ.

ამის გარდა კომისია სთხოვს წევრებს, კანდიდატებს კომპარტიისას და ყველა მოქალაქეთ, რომ მათ დახმარება გაუწიონ კამისიას ამ ძნელ საქმის ჩატარებაში; მოაწოდონ მას ყოველგვარი ცნობები კომპარტიისა წევრ ების და კანდიდატების ცუდ მოქმედების შესახებ, რომელიც ჩირქს სცხებენ კომუნისტურ პარტიას. არმიის გამწმენდ კომისიის მისამართი:

ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილება
საპიორის ქუჩა. № 30.

არმიის გამწმენდ კომისიის თავმჯდომარე: **ნოვოხატსკი.**

ვირტის მთავრობა გადადგა.

გერმანიის მთავრობა ვირტის მეთაურობით გადადგა. მას სურდა შექმნა ახალი მთავრობა უფრო ფართო შემადგენლობით ვიდრე აქამდე ე. ი. მთავრობაში შეეყვანა ნაციონალისტური პარტიის წარმომადგენელნიც. გერმანიის შეერთებული სოციალ-დემოკრატიული პარტია ამ წინადადებას არ დაეთანხმა და ამისათვის შეიქმნა მთავრობის კრიზისი. რესპუბლიკის პრეზიდენტმა ებერტმა ვირტის კაბინეტის გადადგომა მიიღო, დროებ თ დატოვა თავის ადგილას და შეუდგა ახალი მთავრობის თავმჯდომარის ძებნას, ძლიერი პიროვნებისას და პოპულიარულის საზოგადოებრივ მასებში.

საკითხი ისმის: რა არის მიზეზი, რომ გერმანიის შეერთებული სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომელმაც ხელი შეუწყო და გააძლიერა ნაციონალისტური პარტია (გენერალ გინდენბურგის თაყვანისმცემელი მონარქისტული პარტია), ეხლა არ სურს შეიყვანოს მთავრობაში მათი წარმომადგენელი?

თუ მიმოვავლებთ თვალს ერთის შეხედვით გერმანიის თანამედროვე მდგომარეობას ჩვენთვის ნათელი იქნება გერმანიის შეერთებულ სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკა.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ გააძლიერა და გაამაგრა მონარქისტული მოძრაობა და ნაციონალისტური პარტია იმისათვის, რომ გერმანიაში მუშათა რევოლიუციონური მოძრაობა ჩაექრო და ხიკვდილის კარს მისული კაპიტალიზმი გაეცოცხლებია. მათ გერმანიაში რევოლიუციონურ მოძრაობას ფრ ები ოდნავად შეაკვეცეს და სამაგიეროთ კონტრევოლიუცია საგრძნობლათ გაამაგრეს. გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ რევოლიუცია ჯერ ვერ დაასამარა და ამისათვის სრულიად არ იხსნის ნიღაბს და ჩუმათ განაგრძობს ბურჟუაზიის საქმეს, ხოლო მუშათა კლასს ატყუებს და ეუბნება თითქოს ის წინააღმდეგი იყოს ნაციონალისტურ პარტიასთან მუშაობისა. სინამდვილეში ისინი არა თუ წინააღმდეგი არიან, არამედ მთელი თავის ცოდნასა და ენერგიას ხარჯავენ მათ გასაძლიერებლათ და რევოლიუციის ჩასაქრობათ.

იტალიის რეფორმისტების მაგალითი საუკეთესო ილიუსტრაციაა ამის დასამტკიცებლათ.

იტალიის რეფორმისტები იგივე დემოკრატია, როგორც გერმანიის. ისინიც, გერმანის სოციალ-დემოკრატიის მსგავსად, მუშათა კლასს ლამაზი სიტყვებით ატყუებდენ, ხოლო ფაქტიურათ რევოლიუციონურ მოძრაობას ანელებდენ და ჩუმათ ფაშიზმის გაძლიერებას ხელს უწყობდენ. როდესაც ფაშიზმი გაძლიერდა და რევოლიუციონურათ მოქმედების წინააღმდეგ უკვე ძლიერი რეაქცია ამოქმედდა, აი მაშინ მოღალატე სოციალისტებმა ტურატიმ და დარაგონამ საყოველთაოდ განაცხადეს, რომ ისინი შეგნებულათ ანელებდენ რევოლიუციის ცეცხლს და აძლიერებდენ რეაქციას. ეხლა ფაშისტური მთავრობის დიქტატურის მიმართ ლოიალობას და მუსოლინის მთავრობას ნდობას უცხადებენ.

ასე იქცევა იტალიის სოციალ-დემოკრატია მას შემდეგ, როდესაც მოახერხა რეაქციის გაძლიერება და მუშათა კლასის ორგანიზაციების სრულიად განადგურება.

გერმანიის სოციალ-დემოკრატია ვერ გაბედავს ჯერ კიდევ იტალიელების მსგავსად აშკარა გამომჟღავნებას- გერმანიაში მუშათა მოძრაობა ძლიერია და მათმა მოღალატურმა მოქმედებამ ჯერ საბოლოო მიზანს ვერ მიაღწია. ამისთვის არის რომ ისინი ჯერ კიდევ ნიღაბის ქვეშ განაგრძობენ მუშათა კლასის თვალის ახვევას.

გერმანიის მუშათა კლასი მთლიანი ფრონტით კომუნისტების ხელმძღვანელობით ეწევა ფაქტიურათ თავის ბურჟუაზიის წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლას. დღითი დღე ეს ბრძოლა გადამწყვეტ ხასიათს ღებულობს. მუშათა კლასი მთლიანათ უკვე თანდათან მოჰყვა კომუნისტური პარტიის გავლენის ქვეშ და გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მოღალატურ პოლიტიკას ნიადაგი თითქმის სრულიად გამოეცალა. გერმანიის მუშათა კლასი კაპიტალის ბატონობისაგან განთავისუფლებისაკენ ჩქარი ნაბიჯით მიეშურება და ვაი გამცემელ სოციალ-დემოკრატიას მაშინ, როდესაც გამარჯვებული მუშათა კლასი მოღალატეობისათვის ეშაფოტებს აღუმართავს მათ.

საბჭოთა ხელისუფლების გავლენა ფართოვდება.

აღსრულდა ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი, შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკაში მუშების დიდი ხნის ენერგიულ ბრძოლების შემდეგ დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

ეს დიდი გამარჯვებაა საბჭოთა ხელისუფლებისა, ამით თავზარი დაეცა, მეზობელ იმპერიალისტურ ქვეყნებს, როგორიც არის აღმოსავლეთისაკენ იაპონია და სხვა.

იაპონია მთელი 5 წლის განმავლობაში აწყობდა შავ გეგმებს საბჭოთა რუსეთის დამარცხებისა და შორეულ აღმოსავლეთი ნაწილის დაპყრობისათვის, მაგრამ ყოველი მისი ცდა უნაყოფო გამოდგა. ყოველმა მისმა დაპყრობითმა მოქმედებამ მიიღო სათანადო პასუხი შორეულ აღმოსავლეთის მშრომელი ხალხისაგან.

დღეს ვხედავთ, რომ ამ იაპონიის იმპერიალიზმის საჯიჯგნ მხარეში, შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკაში, საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

სახალხო ყრილობამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც დახურულად აცხადებდა თვით სახალხო ყრილობას და შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკაც უერთდება საბჭოთა რუსეთის ფედერაციას.

როგორც გაზეთები გვამცნობენ არჩეულია დროებით აღმასრულებელი კომიტეტი შორეულ აღმოსავლეთ რესპუბლიკისა.

ეს უსათუოდ საბჭოთა ხელისუფლების კიდევ ერთი გიგანტური გამარჯვებაა. დღეს შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკაში ფრიალებს წითელი დროშა საბჭოებისა. ეს მნიშვნელოვანია კიდევ იმით, რომ გაერთიანებულ საბჭოთა ხელისუფლებას ამ ჟამად ეძლევა საშუალება თავისუფალი მიმოსვლისა დიდ წყნარ ოკეანეში. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა რუსეთის ეკონომიურად განვითარებისა და განმტკიცებისათვის, მეორე მხრით კი მეზობელ იმპერიალისტურ სახელმწიფოს აღარ შეუძლია ისე ადვილ ახსნილად აწარმოოს თავისი შავი მტაცებლური პოლიტიკა. დიდი წყნარი ოკეანე უკვე შეიქნა საბჭოთა რუსეთისათვის პირველ ხარისხოვანი. აქედან შეიძლება ეკონომიური კავშირი ამერიკასთან და ამდაგვარად კიდევ უფრო გამაგრდება ჩვენი სამეურნეო მდგომარეობა.

ჩვენი გულწრფელი სალამი შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის მშრომელთ და მის წითელ ლაშქარს, რომელიც მტკიცეთ უდგას წყნარ ოკეანეს კარებს!

გაუმარჯოს თავისუფალ დიდ ოკეანეს. საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკებისას!

გაუმარჯოს საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთს!

ი. მეგრელიძე.

დღევანდელი ცნობები

— ვოლინის გუბერნიის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს! კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაცია, რომელიც განადგურებულ იქნა.

— ინგლისის პარლამენტის არჩევნებში კონსერვატორები იმარჯვებენ.

— პუანკარემ განაცხადა, რომ ის შეუძლებლად სცნობს ისმედ-ფაშასთან რაიმე მოლაპარაკებას კონფერენციის წინ.

— გერმანიაში მოითხოვენ მუშურ მთავრობის შედგენას.

— გერმანიაში, დიუსელდორფში, კელნში და ახენში სწარმოებს გაფიცვები.

კომინტერნის მეოთხე კონგრესი.

კომინტერნის მეოთხე კონგრესზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხ. ტროცკიმ სთქვა: „კომუნისტური პარტიების ძირითადი ამოცანაა ძალა უფლების ხელში ჩაგდება. დასავლეთის კომუნისტების გამარჯვება უფრო ძნელი საქმეა, მაგრამ ისინი უფრო ადვილად შეინარჩუნებენ ძალაუფლებას.

ჩვენ ჩავიდინეთ ბევრი შეცდომები, მაგრამ ჩვენი ტაქტიკა ძირითადათ გამართლებულია; სამოქალაქო ომის დროს საჭირო იყო სამხედრო კომუნიზმი რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების საშიშროება ნაკლებია ახალი ეკონომიური პოლიტიკა გარდამავალი ეპოქაა.“

კლარა ცეტკინას სიტყვა.

კლარა ცეტკინამ სთქვა: „რუსეთის რევოლიუცია უდიდეს მსოფლიო მოვლენას წარმოადგენს. მან იფეთქა მაშინ, როდესაც დასავლეთის მუშათა კლასში ფეხი მოიკიდა რეფორმიზმა რუსეთის რევოლიუციამ დაიწყო რეფორმის ლიკვიდაცია. რუსეთის რევოლიუციამ გაამართლა **ენგელსის** წინასწარმეტყველობა, რომ რევოლიუციის მეორე დღეს შეურიგებელ მტრად გამოვა დემოკრატია. დამფუძნებელ კრების ლოზუნგი რუსეთში კონტრრევოლიუციონური იყო.

რადეკის სიტყვა.

ამხ. **რადეკმა** თავის სიტყვაში „კაპიტალის შემოტევაში“ სთქვა: „კონტრევოლიუციის ცდა ძალით შეაჩეროს კაპიტალიზმის დარღვევა სრული დამარცხებით გათავდება მთლიანი ფრონტის ტაქტიკა გვაყენებს ჩვენ თავდაცვის მდგომარეობაში. კომუნისტებმა არა მარტო ძალაუფლება უნდა ჩაიგდონ ხელში, არამედ ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ ყოველ დღიურ პრაქტიკულ ბრძოლას. აგრარულ პოლიტიკაში საბჭოთა რუსეთი იძულებული იყო ანგარიში გაეწია გლეხების მასსების მოთხოვნილებასათვის.

იტალიის დელეგატის ბორდიგინის მოხსენება.

ბორდიგინმა სთქვა: ფაშიზმი ეყრდნობა შემამულეებზე, ბურჟუაზიაზე, იმედ დაკარგულ მუშათა ფენებზე და აფიცრობაზე. ფაშიზმი ეხარს უჭერს ტურატის რეფორმისტული ჯგუფი. გრძელი მეთოდებია: ფარული ტერორი, მკვლელობა და ცეცხლის გაჩენა. ფაშიზმს არ ძალუძს ეკონომიური კრიზისი შეაჩეროს და შეანელოს. ფაშისტებს უნდა დაუპირდაპირდეს კომპარტიის მკაცრი დისციპლინა.

გერმანია

— კელნში და ვესტფალიაში გრძელდება მღელვარება შიმშილობის ნიადაგზე, ხდება სასურსათო საწყობის დარბევა და პოლიციასთან შეტაკება.

— ახალი კაბინეტის შედგენა დავალებული აქვს „გამბურგ-ამერიკა ლინიის“ საზღვაოსნო საზოგადოების დირექტორს კუნოს.

— ბერლინიდან იტყობინებიან, კუნომ თათბირი გამართა პოლიტიკურ მოღვაწეებთან, ებერტს კი ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა სოციალისტურ პარტიის გამოჩენილ მოღვაწეებთან. არსებობს აზრი, რომ ბურჟუაზიული პარტიები მხარს დაუჭერენ კუნოს და რომ გერმესი დარჩება ფინანსთა მინისტრათ.

— ცენტრის პარტია უცხადებს რა ნდობას ვირტს, უარს ამბობს აიღოს ახალი კაბინეტის შედგენის ინიციატივა, კოალიციის ჩაშლის გამო.

— „როტე ფანე“ მოითხოვს მუშური მთავრობის შედგენას.

— გერმანიის სამთამადნო მუშების კავშირი წინადადებას აძლევს მთავრობას არ შეასრულოს საკონტრიბუციო კომისიის მოთხოვნილება 50 ტონი კალიუმის მიწოდების შესახებ, ვინაიდან ის ისედაც არ არის საკმარისი გერმანიის სასოფლო მეურნეობის მრეწველობისათვის.

— მიუხედავად პროფკავშირების მოწოდებისა-გაფიცვის დამთავრებისა და მუშაობის დაწყების შესახებ, დიუსელდორფში სიმშვიდე ჯერ კიდევ არ ჩამოვარდნილა. რეინის განაპირა კომისია იმუქრება, თუ მომავალში უწესოება გაგრძელდა, კრებების აკრძალვას.

— საქსონიის გაერთიანებულმა სოც-დემოკრატიულმა პარტიამ ოფიციალურად დაადგინა წინადადება მისცეს კომუნისტებს მონაწილეობა მიიღონ მთავრობაში, იმ პირობით თუ ისინი იცნობენ ადგილობრივ კონსტიტუციას. კომუნისტები მთავრობისათვის მხარის დაჭერის პირობად სდებენ: პოლიტიკური ამნისტიის გამოცხადებას, წარმოებაზე კონტროლის დაწესებას. მუშათა მილიციის დაარსებას, კაპიტალისტებიდან ძალდატანებითი სესხის აღებას და წარმოების აღორძინებას საერთო შრომის ბეგარის შემოღებით. საქსონიის მუშათა მთავრობის უმნიშვნელოვანეს ამოცანათ კომუნისტები სთვლიან ბრძოლას გერმანიის საერთო მუშათა მთავრობის დამყრებისათვის.

ახლო აღმოსავლეთის ამბები

— კომუნისტ ბერტონის შეკითხვაზე პუანკარემ დეპუტატთა პალატაში განაცხადა, რომ საფრანგეთის და იტალიის მიერ რუსეთის ლოზანის კონფერენციაზე მოწვევა სრულიადაც არ ნიშნავს მის ცნობას.

— ერიოს შენიშვნაზე, რომ საფრანგეთი დაინტერესებულია რუსეთთან კეთილ განწყობილების დამყარებაში, პუანკარემ გაურკვეველად უპასუხა.

— მოკავშირეთა კომისრებმა კონსტანტინოპოლში შეატყობინეს ანგორის მთავრობას, რომ ოსმალების მოთხოვნილება კონსტანტინოპოლის ევაკუაციის შესახებ ეწინააღმდეგება მუდანიის ხელშეკრულებას.

— „ეხოდეპარის“ ცნობით ლოზანაში ჩავიდა სერბიის დელეგაცია რაჩიჩის თავჯდომარეობით და ბულგარეთის დელეგაცია ბულგარეთის პრემიერის სტამბულისკის მეთაურობით. ჩავიდნენ აგრეთვე ეგვიპტის 3 დელეგაცია.

— ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობების თანახმად ამერიკის შეერთებული შტატები გაგზავნიან ლოზანის კონფერენციაზე მეთვალყურეების სახით ამერიკის ელჩს იტალიაში ჩაილდს, ამერიკის ელჩს ქენევაში გრიუს და სტამბოლში მყოფ ამერიკის ადმირალს ბრისტოლს.

— ისმეტ ფაშა ფერი-ბეის თანხლებით ჩავიდა პარიზში და ინახულებს პუანკარეს.

— პარიზში ჩამოსულმა ისმეტ ფაშამ შემდეგი განცხადებ გაუკეთა გაზ. „ტანს“. „მე გადავწყვიტე მივაღწიო ჩვენი უფლების დაცვას, რომელიც განსაზღვრულია „ნაციონალური აღთქმით“. ახალი ოსმალეთი პირნათლად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. ჩვენ არ გვინდა ხელი შევახოთ ფრანგულ სკოლას, ზიანი მივაყენოთ საფრანგეთის ვაჭრობას. იმ მდგომ-რეობაში რა მდგომარეობაშიც დღეს ახლო აღმოსავლეთი იმყოფება, თვითეულმა დაკარგულმა დღემ შეიძლება წარმოშვას არა სასურველი ინციდენტები. ჩვენი სურვილია რაც შეიძლება ჩქარა იქნეს დადებული საზავო ხელშეკრულება“.

რუსეთი

— აღმოაჩინეს კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაცია, რომელიც იმყოფებოდა ვოლინის გუბერნიის ტერიტორიაზ. „ვოლინის მეამბოხეთა არმია“ შესდგებოდა წარსული წელში განადგურებულ ტიუტიუნიკის და პალეის ბანდების ნიშთებისაგან. ორგანიზაციას კავშირი ჰქონდა უცხოეთთან რა სურდა აჯანყების მოწყობა და ძალაუფლების ხელში ჩაგდება, მაგრამ განადგურებულ იქნა.

წითელი დროშით.

კომუნიზმის წითელ დროშას
აფრიალებს მაღლა ქარი!
მოდით ძმანო, კომუნისტებს
დავუჭიროთ ყველამ მხარი.

მომავალის იმედი და
გამარჯვება მათკენ არი;
აბა, ძმებო, შემოვძახოთ
სიმღერა, რკინის, მედგარი.

წინ გავსწიოთ მძლე ყიჟინით
გულს ავინთოთ ცეცხლის ალი
წითელ დროშის დასაცავად
მაშ აღვმართოთ მაღლა ხმალი!

ი. გაფრინდაშვილი

სიმღერა მკაში

მკაში ბიჭო ჰერი, ჰერი!
დაილახვროს ჩვენი მტერი
გაუსვათ და გამოუსვათ
დავამზადოთ პური, ქერი.

ნამგალი დღეს კარგათ გვიჭრის
მოდი ბიჭო! ჰერი, ჰერი!
დაუმზადოთ მოძმეთ პური
და მტერთ რისხვა ანამღერი.

ნიგორმახელი

დეზერტირებს

დეზერტირო! არ გრცხვენია?
რად ღალატობ შენს სამსახურს?!
ხალხს, რომ უნდა დარაჯობა
ვერა ხვდები?-ნუ თუ არ გსურს?
დეზერტირო, ნუ გვღალატობ
ნუ ახარებ გაიძვერებს,
თორემ მალე ჩვენი რისხვა
შენზე სხვა გვარ დაიმღერებს.

წ. არ. ი. გაფრინაშვილი.

აღმშენებლობითი მუშაობა.

მიუხედავათ არა ჩვეულებრივი იმშილისა, რაჭის მაზრაში, სმა წლის საზაფხულო სეზონში სწარმოებდა ენერგიული აღმშენებლობითი მუშაობა, არამც თუ შეკეთდა ნიაღვრისაგან დანგრეული ხიდები და ბორანები, არამედ გაკეთდა და აიგო სრულიად ახლებიც.

გაიმართა ხარისთვალის ჯერ კიდევ ხელშეუხებელ ტყეებში (ნიკორწმინდის სატყეო აგარაკში) და რიცეულში (მოსეშვილის მთა) სახერხი ქარხნები. პირველში, დადგმულ იქნა ორთქლით მამოძრავებელი ქვაბი 65 ცხ. ძალისა, მეორეში კი—წყლის ტურბინა. ცხადია, ამან უნდა შეუმსუბუქოს რაჭის მცხოვრებს მისი, ასე ვთქვათ, „კატორღული“ შრომა და თვით ტყეები დაიცვას მტაცებლური გაჩეხა—დამუშავებისაგან.

განსაკუთრებული სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე ისიც, რომ მრავალ ადგილას გაყვანილ იქმნა სრულიად ახალი შოსეები და სასოფლო გზები. ეს გზები აახლოვებს სამრეწველო ცენტრებს რკინის გზასთან. განსაკუთრებული ყურადღება ამ შემთხვევაში ეძლევა ნაქერალის უღელტეხილზე გაყვანილ გზასა 51 ვერსტის მანძილზე. მიუხედავათ მძვინვარე საშმილისა, მიუხედავად ყანებში და სათიბებში გაცხარებულ მუშაობისა, მიუხედავათ თავისუფალ მუშა საქონლის უქონლობისა, ეს მუშაობა შეუფერხებლათ სწარმოებს ისიც უნდა იქნეს აღნიშნული, რომ გზების აღდგენა და შესწორება გვიხდება ყოველ ნიაღვარის შემდეგ. დამშეულ რაჭველების განსაცვიფრებელ ენერგიით აღდგენილ და წესრიგში იქნა მოყვანილი სამხედრო ოსეთის გზა, რომელიც აჭრელდა ახალი ხიდებით, მაზრის მთელ ტერიტორიაზე, რასაც, ცხადია უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი დასავლეთ საქართველოსთვისაც.

ამით არ დაკმაყოფილდა რაჭის აღმასკომი და დაისახა სრულიად ახალი და უძნელესი ამოცანა. ეს არის **მაზრის ელექტრიფიკაცია.** ელექტრიფიკაცია იმ მაზრისა, რომელსაც ჯერ არ უნახავს არც შინამრეწველობა, არც ქარხანა და არც რკინის გზა!! მკითხველს ეს გაუკვირდება, მაგრამ ჩვენ ამას მაინც ვაწყობთ. მართლაც, საშინელი დაჟინებით მოკიდა ხელი ამ საქმეს რაჭის აღმასკომმა მშრომელ გლეხობასთან ერთად. შედეგები ამ წამოწყებისა, რომელიც დაწყებულ საქმის 50 პროცენტს აღემატება, უკვე ხელთ გვაქვს: უკვე მიტანილია სოფ. წესში, სადაც უნდა გაიმართოს ელექტრონის სადგური, მისი მთელი მოწყობილება. ამ სოფელშია მიტანილი მთელი კომპლექტი პილტონის ტურბინისა ერთ ღერძზე. ცვალებადი დენის ალტერნატორით 625 კილოვატი, 3000 ვოლტი, 900 ცხენის ძალის. ეს უკვე მნათობია ეკონომიურად ჩამორჩენილ რაჭის მაზრისათვის, რომელსაც ექნება ყოველმხრივი მნიშვნელობა არა მარტო ამ მაზრისათვის არამედ მთელი საბჭოთა ტერიტორიისათვის, და რომელმაც უნდა მიიზიდოს მწარმოებელი ბუნებით მდიდარ რაჭის მაზრაში.

რაკი შევძელით- გვეშოვა ასეთი ძლიერი ტურბინა, ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ შევსდგომოდით შესაფერი ძალის მდინარის გამოძებნას. კომისია რომელშიდაც შედის ინჟ. ჰიდრავლიკი მელიკ-ფაშაევი, ინჟ. წვერავა და ინჟინერი მჭედლიშვილი, რომელთაც შეუერთდნენ ადგილობრივი ტეხნიკური ძალები, შეუდგნენ



ჟან ჟორესი
(დაიბადა 1859 წელს)

ჟან ჟორესი მუშათა კლასთან და სოციალიზმთან გადმოვიდა ბურჟუაზიული ოჯახიდან ისე როგორც მარქსი და ენგელსი, მაგრამ განსხვავება მათ შორის ის იყო რომ ჟან ჟორესის ნაბიჯები იყო გაუბედავი და მერყევი, კარლ მარქსის და ენგელსის კი მტკიცე და გაბედული.

იგი უკვე გამოჩენილი პროფესორი და ვექილი იყო, როდესაც მიხვდა და შეამჩნია თუ რამდენად მავნებელია კაცობრიობის და განსაკუთრებით მუშათა კლასისათვის კაპიტალისტური წესწყობილება; და ნახა რა ნამდვილი სახე მხეცი კაპიტალისა მან მიატოვა ბურჟუაზიული ცხოვრება და გადავიდა მუშათა კლასის მხარეს მაგრამ აქაც განსხვავდებოდა იგი კარლ მარქსიდან და ენგელსიდან მით, რომ მან ვერ შეიგნო ისე მტკიცედ და მკაფიოდ მუშათა კლასის ინტერესები, მას არ ძალუძდა გაეგო, რომ მედგარ და შეუპოვარ ბრძოლით შეეძლო მუშათა კლასს გამოსულიყო გამარჯვებული და ძირს დაემხო სისხლის მსმელი კაპიტალი. მხოლოდ და მხოლოდ რევოლიუციის შეუპოვარს როგორც სტიქიას ძალუძს დაამხოს და გაანადგუროს ოქროს ტახტი კაცის ჭამია კაპიტალისა, არ ესმოდა რა ეს ჟორესს, იგი კიდევ დიდი ხანი იყო მომხრე, რომ სოციალისტები შესულიყვნენ ბურჟუაზიულ მთავრობებში, მაგრამ მუშათა კლასმა აიძულა იგი თავი მიენებებინა ამ დამღუპველი აზრისათვის.

მას ისევ სწამდა რომ შეიძლებოდა კაპიტალის დამარცხება მუშათა კლასის და წვრილ დემოკრატიული ბურჟუაზიის შორის კავშირის დაარსებით, მაგრამ მას ავიწყდებოდა ენგელსის სიტყვა „როგორც კი მოხდება პროლეტარული რევოლიუცია დემოკრატია თავს ამოყოფს კონტრრევოლიუციონერთა ბანაკშიო“ ყველა ამისა მიუხედავათ ჟან ჟორესი მაინც გულწრფელი დამცველი იყო მუშათა კლასისა მისმა საკვირველმა მჭერმეტყველობამ დიდი სამსახური გაუწია სოციალიზმის განვითარების საქმეს.

იგი იქნა მოკლული ომის გამოცხადების წინა დღეებში 1914 წ. როდესაც მან მოისურვა, რომ ხელი შეეშალა ამ ომისათვის. იგი ნათლად ხედავდა: რომ როგორც ყველა ომებში დაზარალებული და ორმაგად დაბეჩავებული გამოვიდოდა მშრომელი მასსები, იგი ენერგიულად ეწეოდა აგიტაცია პროპაგანდას ომის წინააღმდეგ რისთვისაც იქმნა მოკლული მუშათა სისხლის მსმელი ბურჟუაზიის აგენტების მიერ.

ბედნიერი ვარ.

საღამო ხანია...

შორს, ძალიან შორს, სადღაც, ცის ტატნობს ალისფერი მოედო...

და ცოტა ხნის შემდეგ, ვით სადედოფლოდ გამზადებული პატარძალი, ამოსრიალდა ბადრი მთვარე, რომელმაც ცხოველ-მყოფელი სხივები მოფინა დღის შრომ საგან მოქანცულ არე-მარეს...

გაისმა მხიარული სიმღერა... სადღაც ბუჩქებში ბულბულიც ატკბილ ხმოვანდა, რომლის ხმაში ჩაიქსოვა ბუნების სიდიადე... ისმის ქალ-ვაჟთა სიცილ-ხარხარი...

ირგვლივ სიმხიარულის ანგელოსი დაფრინავს დედამიწაზე...

ყველანი ბედნიერია...

მხოლოდ ერთ სახლის წინ, სვეტზე მიყრდნობილი, სდგას ახალგაზრდა, ჯანღონით აღსავსე ყმაწვილი კაცი, რომელსაც ბუნების სიდიადე ვერ იტაცებს...

ის ვერ ამჩნევს იმ სიტკბობას, რომლის ნექტარით სტკბება ყველა სულგდმული...

მას სულ სხვა ფიქრები აწუხებს... ხვალიდან მან ახალი ცხოვრება უნდა დაიწყოს... ის ხვალ დილით უნდა მოშორდეს თავის მშობლიურ კერას... მიდის... მიდის სადღაც შორს თავის სოფლიდან წითელ ჯარში... მას უთხრეს: საბჭოთა ხელის უფლება უნდა დაიცვაო!.. ის გრძნობს თავის მოვალეობის სიდიადეს, მაგრამ ემძიმება თავისიანების მიტოვება. ჯერ ის თავის სოფელს არც კი გაშორებია.. მას აშორებენ ყველას: დედას, მამას, ნაცნობ-ნათესავებს, მის საყვარელ მიდამოებს... აი სწორედ ამ ფიქრებმა შეუბოჭეს ახალგაზრდას გული... მომავალი ცხოვრება ბურუსით მოცული ეჩვენება,..

ის თან და თან გაიტაცა ამ ფიქრებმა... ვერც კი შეამჩნია თუ დრო როგორ გადავიდა...

ფიქრებიდან გამოიყვანა დედის ხმამ: შვილო, ნიკო! მოდი დაიძინე!

ნიკო მის და შეუმჩნევლად ემორჩილება ამ ხმას... დაწვა... აი ეძინება... ფიქრობს... ფიქრობს, მაგრამ რას, არც თითონ იცის... ყველაფერი ერთმანეთში აერია.. ჩაეძინა... ვითომ პატარა ბავშვია, მინდორში ჭრელ პეპლებს დასდევს, უკან მშობლიური თვალი უცქერის... დილაა... გაეღვიძა. სამზადისს შეუდგა.

აჰა უკანასკნელი წუთებია თავისიანებთან. ემშვიდობება... კარგათ იყავი მე არაფერი მიჭირს... ჩემს ამბავს გაცნობებთ როგორმე, თქვენიც

გამოკვლევას მდინარე რიონის მიდამოებისას ზემო და ქვემო რაჭაში. გამოკვლეულ უნდა იქნენ, როგორც მდინარე რიონი, აგრეთვე მასში მიმდინარე წყლები: ლუხუნი, რიცეული, ჯოჯორი და საკაული.

პროექტის დასრულების შემდეგ რაჭის მშრომელი გლეხობა შეუდგება მუშაობას თავისი ჩვეულებრივი ენერგიით. მთავრობა კი ვალდებულია გაუწიოს ყოველმხრივი დახმარება, რაშიდაც ხსენებული მაზრის მცხოვრებლები სრულიად დაიმედებული არიან და რაც კიდევ მეტად წაახალისებს მათ საბჭოთა აღმშენებლობის მუშაობაში.

ა, კობახიძე.

გაზ. „წითელ-არმიელს" ეხმარებიან.

საუბარი ყაზარმაში.

სავუშაკოდან ახალი დაბრუნებული ვიყავი...

ვახშმის შემდეგ ნარებზე ვიყავით წამოწოლილნი,. ჩვენი მოუსვენარი ბახურიძე არ ისვენებდა და ანეკდოტებით სიცილით გვბერავდა ... ჩემ გვერდზე ჩვენი „მუზიკანტი" გოგო ლამის აბრეშუმის სიმებს აწყვეტდა ფანდურს და კოწია კი ლეკურს უსვამდა... „ფილოსოფოსი" კოტე ხან ერთს შემოგვიტევდა და ხან მეორეს რომ არ ვაძლევდით საშუალებას გაზეთის კითხვის, რომელიც ჩამომჯდარიყო ელექტრონის ახლოს ყოველ მის გაჯავრებაზე ატყდებოდა სიცილ—ხარხარი, და ის უფრო ბრაზდებოდა.

ბიჭო თქვე თავხედებო, დაიგდეთ ყური და! აი რასა სწერს ჩვენი გაზეთი „წითელ არმიელი" და დაიწყო კითხვა, სადაც ეწერა ჩვენი გაზეთის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ წერილი, საიდანაც გავიგეთ და მივხვდით, რომ საჭიროა დახმარება, ჩვენი წვლილი... და იქვე შეუდექით მოგროვებას ვისაც რამდენი შეგვეძლო, მერე დაუარეთ სხვა გუნდებსაც და... ეხლა ყველგან იკრიფება: ყველაზე მოუსვენარი ბახურაძე, რომელიც გულცივად უყურებდა ხოლმე ჩვენს გაზეთს, ეხლა დარბის და აგროვებს შემოწირულებას.

გაუმარჯოს ჩვენს გაზეთს.

წ. არმ. ხ. ბ—ლ.

ფიცი

ჩვენ დროშას ქვეშ ვავახარებთ,
მრავალ ხნობით ტანჯულ თვალებს.
მედგარ ბრძოლით შევასრულებთ,
რასაც დროშა დაგვავალებს.
ჩვენს ფარაჯას ამოვწურავთ,
მტარვალთ სისხლში, მტვერში დასვრილს.
სახელოვან მუშური ხმლით.
მტერს ვარგუნებთ სიმწრის სიკვდილს.
დღეს სამყაროს მაღალ სარკმელს,
გადმოვყურებთ შრომის შვილი
ვშრომობთ, ოფლს ვღვრით, ქვეყნის ხსნაში
ჩვენცა შევაქვს ჩვენი წვლილი
ჩვენ დროშის ქვეშ ჩანგს ვაჟღერებთ,
ხმას ვუერთებთ ხმათა გრიალს;
გაუმარჯოს ბრძოლის აჯიში
მუშურ-გლეხურ ჩარხის ტრიალს.

გ. ბესოშვილი.



ჩვენს ჯარში ბოროტმოქმედება

სამოსწავლო ძირითად ათასეულს აქვს თავისი კოოპერატივი, რომელიც დაარსდა სხვა და სხვა წყაროებიდან, აღნიშნულ კოოპერატივის მოგებულ პროცენტებიდან ზოგი რჩება შიგვე კოოპერატივში, და ზოგიც იხარჯება წითელ აუმიელების საჭიროებისათვის.

როცა ათასეული გადავიდა სააგარიკოთ ქალ. სურამში, აგრეთვე კოოპერატოვიც იქმნა გადატანილი იქ, ჩვენმა კოოპერ ტივის დაარსებამ სურამში, ადგილობრივ სპეკულიანტებზე გავლენა იქონია, ისინი იძულებული იყვნენ იმათაც დაეწიათ ფასები. ათასეულს უეცრად გასვლა მოუხდა ხევსურეთში ბანდიტების წინაალმდეგ. კოოპერატივი დაუჩა ისევ სურამშივე. „ბატონმა" გამგეობის წევრებმა **შენგელიამ** და **ლოლუამ** კოოპერატივიდან მოიპარეს 35 მილიონი მანეთი. გამოსჭრეს კედელი ვითომ ქურდებმა წაიღეს. ზომოთ ხსენებული „ვაჟბატონები" მიცემულნი არიან პასუხის გებაში. ათასეულის დაბრუნების შემდეგ თბილისში ამორჩეული იქნა ახალი კოოპერატივის გამგეობა. და ახალი საკონტროლო კომისია, ანგარიშის დროს კოოპერატივში აღმოჩნდა საქონელი ორას მილიონამდე. ფულად კი, ცხრა მილიონი კოოპერატივი არსებობს პლეხანოვის პროსპექტი № 49 შენობაში. უსურვებ ახალ გამგეობას, რომ წარმოება დაეყენებიოს თავის სიმაღლეზე.

ლ. ჭანკვეტაძე.

ხშირად ასეთი მოხსენებები

1-ლ ლეგიონში 27 ოქტომბერს შესდგა წითელ-არმიელთა და უფშემადგენლობის საერთო კრება. თავჯდომარეობს ამხ. **ლომიძე**, მდივნობს ამხ. **ხურცილავა**.

დღის წესრიგი:

1. მოხსენება სამხედრო კომისრის ამხ. **ენუქიძის**.
2. ინფორმაციული მოხსენება იოსავის და სხვ.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ენუქიძე, რომელიც მკაფიოთ ასურათებს რევოლიუციის გამომწვევ მიზეზებს აგრეთვე აღნიშნავს მენშევიკების მოღალატურ პოლიტიკას ოქტომბრის რევოლიუციამდე და მას შემდეგ. ბოლოს მოუწოდებს ამხ. ენუქაძე კრებას, რომ შეგნებულად და მომზადებულად შეხვდენ ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის თავის დღესასწაულს მოხსენებაზე მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ენუქიძისა ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის თავზე, ფიცსა ვდებთ საბჭოთა მთავრობის წინაშე, რათა მტკიცეთ ვიდგნეთ სადარაჯოზე, მოპოებულ თავისუფლების დასაცავად

გაუმარჯოს საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკებს!

გაუმარჯოს წითელ ლაშქარს!

გაუმარჯოს მესამე კომინტერნს!

გაუმარჯოს წითელ ოქტომბერს!

იოსავა აკეთებს ინფორმაციული ხასიათის მოხსენებას სასპორტო წრის შესახებ, რომელმაც გააცნო კრებას სადღესასწაულო პროგრამა, ამხ. იოსავას ინფოუმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

კრების თავმჯდ. **ლომიძე.**
მდივანი **ხურცილავა.**

მთავრობა არ გვაძლევს.

ქართული შეერთებული სამხედრო სკოლის არტელის გამგეს მოვსთხოვეთ წვენ წით. არმ- კუთვნილი პური, რომელიც იყო მომატებული 23 ოქტომბრიდან და მივიღეთ მომატებული 1 ნოემბრიდან როდესაც მოვსთხოვეთ ახვნა მან გვიპასუხა: „ჩვენ არ გვაძლევენ— და თქვენ რა მოგცეთო" როდესაც გამოვეხმაურეთ პურის დაკარგვას ეხლა გამოჩნდა, და არ ვიცით, საიდან ვთხოვთ ამხ. გამგეს გაგვაგებინოს საიდან გამოჩნდა ის პური თუ არ იძლეოდენ, რომმლსაც ეხლა გვირიგებს.

ჟუდექსი.

კუთვნილი შაქარი სად არის?

ქართ. შეერთ. სამხედრო კოლის წითელ არმიელებს გასულთვის სექტემბერში, ნახევარი თვის შაქარი არ მიუღიათ, რომლის შესახებ სურსათის გამგეს, აღარც კი ახსოვს მიიღეს თუ არა წითელ არმიელებმა, რაშია საქმე? ნუ თუ ჰგონიათ რომ წითელ არმიელის ამოძახილი დარჩება „ხმადმღაღადებლსა უდაბნოსა შინა" მოვითხოვთ პასუხს სად არის ნახევარი თვის შაქარი.

კრუჩოკი.

ჩვენც ავმუშავდით

ა. ჭ. 26 ოქტომბერს შესდგა მე-2-რე არტ. დივიზიონის მე-3-ე ბატარეის კრება საცა სხვა საკითხებთან ერთად მოსმენილი იქმნა პოლიტგანმანათლებელის მუშაობა და სამხ.კორესპოდენტის მოვალეობა, რის შემდეგ პოლიტგანკომში არჩეული იქმნენ: ჭანიშვილი, პაპოვი და ბახტაძე. პასუხისმგებელ სამხ. კორესპოდენტათ ამხ. ჭანიშვილი.

უსურვებთ ახლად არჩეულ ამხ. მეტ მხნეობას და ამხანაგობის მიერ დაკისრებულ მოვალეობის პირნათლად ასრულებას,

ლი.

საჭიროა ყურადღების მიქცევა

თბ. მც. მხ. ათასეულში ეს ერთი თვეა წ. არმიელი ამხ. კაპანაძე იმყოფება უკიდურეს მდგომარეობაში. ეს ის ამხანაგია, რომელიც წინაალუდგა მექრთამეობას.

უღირსმა მეუფროსებმა ყოველ გვარი ღონის ძიება იხმარეს, რომ არმიელი მოეცილებიათ თავიდან ერთხველ მიზეზიც კი უშოვნეს და დაატუსაღეს, მაგრამ ჩემ მიერ იქნა განთავისუფლებული. სცდილობენ რაიმე მიზეზი უშოვნოს სიმართლე თხოულობს აღინიშნონ ამხ. კაპანაძის მუყაითი მუშაობა, რომელიც ხმის ამოუღებლად ასრულებს კანონიერ და უკანონო დავალებებს, რის გამო ისე გახდა, რომ ადამიანის მხოლოდ სახე შერჩენია.

საქმე დროზე უნდა იქმნას გარჩეული, წ. არ. დაუყონებლივ უნდა იქმნას დროებით მოცილებული ათასეულიდან ის პირები კი რომლებიც ღირსი არ არიან მუშურ გლეხურ წითელ-არმიაში სამსახურის აუცილებლად უნდა დაიცოცხოს.

დუბლიკატი.

პირველი ლეგიონი.

პირველი ლეგიონის ერთი გუნდი წასული იყო ხიდების სადარაჯოზე მთელი სამი თვის განმავლობაში იქ ვდარაჯობდით და ვიყავით ერთგულად. ვასრულებდით ყოველ დავალებებს მაგრამ ბოროტმოქმედებას ჰქონდა ადგილი რაიც გამოიხატება შემდეგში.

ხორცის ფულს, რომელიც უნდა ხელზედ მიგვეღო სამი თვის განმავლობაში ჩვენ არ მიგვიღია და უხორცოდ ვიყავით. შემდეგ ლეგიონში გავიგეთ, რომ ჩვენი ხორცის ფული მიღებული ყოფილა და ჩვენთვის არავის მოუცია ამ ხორცის ფულების შექმაში მონაწილეობა მიუძღვის **ხარაძეს** და **ზვიადაძეს**, რომლებმაც შესჭამეს ეს ფულები და ყურებს არ იბერტყავენ ჩვენს თხოვნაზედ საჭირო არის ასეთ პირებს მიექცეს ყურადღება.

ი. თეოშვილი.

წითელ.არმიელთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლათ.

22 ოქტომბერს შესდგა ბათომის მცველ მხლებელთა რაზმის საერთო კრება. განსახილველი საკითხი იყო წითელ-არმიელთა და უფშემადგენლობის ყოფა ცხოვრების გასაუმჯობესებული წყაროების გამონახვა კრებამ ამხ. გიორგაძის მოხსენების შემდეგ დაადგინა გამართოს საღამო საკრებულოს შენობაში. ამ საქმის მოსაგვარებლად არჩეულ იქნა კომისია მამედ-ბეგ აბაშიძის თავჯდომარეობით.

№

1-ლ ლეგიონში ამხ. ფ. მახარაძე

პირველ ლეგიონის ტყვიის მფრქვეველი გუნდის წითელ მოლაშქრენი დიდი მონაწილეობით და დიდი აღტაცებით ეგებოდნენ დღესასწაულს. იმ მოვლენამ მთლად გაახარა ჩვენი არმიელები, როდესაც დაინახეს ამხ. ფილ. მახარაძე მოსული სტუმრათ თავის გუნდში. ამხ. მახარაძემ მონახა თავის თოფი და წიგნაკი წითელ არმიელისა, რომელიც ეკუთნოდა მას. მისმა ასეთმა მოქცევამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა წითელ არმიელებში. ტყვიის მფრქვეველის გუნდის წითელ მოლაშქრენი იმედოვნებენ, რომ ისინი ფ. მახარაძის და სხვა ბელადების წინ გაძღოლით დაამსხვრევენ მსოფლიო ბურჟუაზიას.

გაუმარჯოს ჩვენს მშრომელს მეთაურებს!.

გაუმარჯოს ჩვენს წითელ არმიას!

ი. თეოშვილი.

შემომითვალეთ... უნდა ვსთქვათ: წერილს... მაგრამ გაახსენდა რომ წერა არ იცის... შვილო წერილი დაიწყო დედამ მაგრამ არ დაათავა და ტირილი წასკდა.

უკანასკნელი ზარია... მატარებელს გუგუნი გააქვს.,. დაუსტვინა კიდეც... ბორბლებიც ატრიალდენ და ნიკოც გაიტაცეს შორს თავის სოფლიდან... მშვიდობით დედა... მშვიდობით... ვერ ათავებს.. ტირის..

ჩავიდა.. მიიღეს ნაწილში... როგორც დამფხალი შველი. დადის ნიკო ამხანაგებში... რა ქნას არ იცის. სახლის სიშორე აწუხებს, თავი ობლად მიაჩნია. აი აგერ ზის მისი ამხანაგი, რომელიც წერილსა სწერს.. ნიკოს ბრაზი ღოსდის თათის თავზე რატომ მანაც წერა არ იცის... ის უბედურია... პირუტყვს ადარებს თავის თავს... მაგრამ, მოიცა... ხმები ისმის „მასწავლებელი მოდის, მასწავლებელი"... შემოდის მასწავლებელი.—აბა ყმაწვილებო, წავიდეთ ვიმეცადინოთ... მიდიან ნიკო გულდაწყვეტილი უცქერის მათ... მასწავლებელმა შენიშნა და ეკითხება: შენ უოდის მოდი ამ ნაწილში?.. გულში შეშინებულათ უპასუხებს ის წერა-კითხვა იცი? არა: დარცხვენით ლევს პასუხს ნიკო.

არ გინდა რომ ისიავლო? მერე ვინ მასწავლის? სიხარულით წამოიძახა მან.

მე გასწავლი წამოდი ჩემთან.

ნიკოს სიხარულისაგან გულმა ცემა დაუწყო, წერა-კითხვას ისწავლის სახლში თავის ხელით ნაწერ წერილს გააგზავნის. თითონაც წაიკითხავს. ის ეხლა ბედნიერია...

დადის ნიკო სკოლაში... ბეჯითობს, თითქმის ყველა ასოების წერა იცის. მასწავლებელი წინადადებას აძლევს მოწაფეებს წერილი დასწერონ ნიკო სიხარულით იღებს კალამს და ქაღალდს ძვირფასო მშობლებო! ასე იწყება ის, გისურვებთ ყოველივე კარგს... ჯანმრთელობას.:. მე კარგათ ვარ და მასთანაც ბედნიერი ეს წერილი ჩემი ნაწერია თქვენ შეიძლება გაგიკვირდეთ... საკვირველი არაფერია. საბჭოთა ხელისუფლება ნამდვილათ მუშურ გლეხური, ხელის-უფლებაა ის ჩვენი ბედნიერებისთვის ზრუნავს...

ჩვენს ნაწილებში არსებობს სკოლები სადაც ასწავლიან წით. არმიელებს წერა კითხვას, დიახ ასწავლიან რომ პირუტყვის მსგავსი კაციო გამოიყვანონ. მე ვიმეორებ. რომ ეხლა უბედიიერესი კაცი ვარ... თვალები ავიხილე., ხელ მეორეთ დავიბადე., სწავლა ეს ადამიანის ბედნიერებაა... ყაელამ უნდა ვისწავლოთ, რომ ჩვენ თვითინვე გამოვსჭედოთ ჩვენი ბედი... საბჭოთა ხელისუფლებას მიზნათ აქვს დასახული მოსპოს წერა-კითხვის უცოდინარობა. ჩვენ- ყველანი, მოვალენი ვართ მას ხელი შეუწყოთ..

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც ჩემისთანების თვალების ამხელია...

საყვარელო მშობლებო! როგორ გამოვსთქვა ჩემი მადლობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი ასე ვიცი: მე მზათა ვარ მას ყველაფერი შევსწირო.

მომიკითხეთ ყველანი... გკოცნით ბევრსა. მშვიდობით ჩემი ჯავრი ნუ გექნებათ... წერა-კითხვის გარდა აქ ბევრ რამეს გვასწავლიან... კიდევ მშვიდობით.

თქვენი ძველი ნიკო.

დაამთავრა-დახედა თავის ნაწერს. ის ბედნიერია. არ სჯერა თუ ის მისი ნაწერია. სიხარულის ღიმი გადაეკვრა სახეზე... გაიტაცა ფიქრებმა...

მიდის წინ... ყველგან ყვავილებია... ყველაფერი ხარობს, ნიკოს სალამს უძღვნიან... ნიკოს სახე თან და თან უბრწყინდება...

ოხ; რა ბედნიერი ვარ! წამოიძახა მან და მთელი სკოლის ყურადღება მიიქცია,

ნაგრი.

ოქტომბრის დღესასწაული ჩვენს ჯარში

ოქტომბერი საინჟინერო ათასეულში

ბრწყინვალე დღესასწაული 5 წლის თავი ოქტომბრის რევოლიუციისა დიდებულად ჩატარდა საინჟინერო ათასეულში. მთელი შენობა ათასეულისა გარეგნობით და შიგ წითელ-არმიელების სადგომი ბინები იყო მორთული გირლიანდებით.

5 ნოემბერს ათასეულს ესტუმრენ საქართველოს ფულის მბეჭდავ ექსპედიციის მუშები საჩუქრებით. ათასეული, რომელიც იყო ეზოში მუსიკით შეხვდა თავიანთ ძვირფას სტუმრებს, მუშებმა წარმოსთქვეს სიტყვები, მიულოცეს არმიელებს დიადი დღესასწაული. ათასეულის სახელით მუშებს მიესალმა პოლიტხელი ამხ კაკაბაძე. შემდეგ მუშებმა და წითელ-არმიელებმა გადაიღეს სურათი დაათვალიერეს წ.-არ. სადგომი ბინები, რომლის კედლებზეც იყო მორთული რევოლიუციის ბელადების სურათებით და სხვა და სხვა რევოლიუციის ლოზუნგების წარწერებით და ბოლოს წ. ა. და მუშებმა ისადილეს ერთად.

საღამოს გაიმართა ათასეულის კლუბში საღამო. დადგმულ იქმნა რევოლიუციონური პიესა, გაიმართა ოქტომბრის რევოლიუციის გასამართლება და შემდეგ დივერტისმენტი.

6-ში ათასეულს ესტუმრენ ოკას უნივერსიტეტის კურსანტები, მთელი ათასეული, თავისი უფშემადგენლობით, კლუბში გაიმართა მიტინგი. წარმოთქმული იქმნა მრავალი სიტყვები მომენტზე. ნაშუადღევს გაიშალა დიდებული სუფრა, სადაც წ. ა. და უფროსთა შემადგენლობა ერთად სადილობდნენ. სადილს დაესწრნენ ათასეულის მამა, ჩვენი შეფი ამხ. თოდრია, დივიზიის უფროსი ამხ. ლექვთიძე და თითქმის ყველა უფროსთა შემადგენლობა ათასეულის უფროსები და სამხკომები ქ. თბილისში მდგომ ქართულ და „ოკას“ ჯარებისა. საერთო მასშტაბში დღე ჩატარდა დიდებულად და წ.-არ. მადლობელნი დარჩნენ საღამოს წ.-არ, გაემგზავრნენ ცენტრალურ კლუბში წარმოდგენაზედ.

7-ში მთელი ათასეული გაემგზავრა დიდუბეში აღლუმზე.

დღესასწაულის მოწყობაში ჩვენს ათასეულში დიდის ენერგიით მუშაობდენ ამხ. ბარამიძე, ბიუროს მდივანი ამხ. ჯავახიშვილი და მნე ამხ. ქბანოიძე, ისინი ყოველ ღონისძიებას ხმარობდენ რაც შეიძლება უკეთ ჩაეტარებინათ ეს ბედნიერი დღე მუშათა კლასისა.

გ. ლეხოუ-ლი

დივ. ჰოსპიტალში

ოქტომბრის ა. წ. დღესასწაული ჰოსპიტალში მშვენიერად ჩატარდა. ჰოსპიტალი მორთული იქნა ნაძვის ტოტებით, შიგნით როგორც კლუბში ისე პალატებში სხვა და სხვა წარწერებით და სურათებით ოქტომბრის რევოლიუციის აღსანიშნავად. 5 ნოემბერს ადგილობრივ კლუბში საზეიმო სხდომა გახსნილ იქნა სამხკომ ამხ. ბერაძის მიერ, რომელიც მიესალმა დამსწრეთ დღესწასაულის მილოცვით და აღნიშნა იქ რევოლიუციის დიადი მნიშვნელობა, როგორც საბჭოთა რესპუბლიკებში ისე საერთაშორისო მსოფლიო მასშტაბში. შემდეგი მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვეს შეფმა ჯანმრთელობის სახალხო კომისარის მოადგილემ ამხ. კიკალეიშვილმა, დივექიმმა ამხ. გოგიტიძემ პოლიტხელმა ამხ. დევიძემ კულუმბეგაშვილმა და სხვებმა. შემდეგ საზეიმო სხდომისა გახსნა მიტინგი ამხ. ბერაძემ მისასალმებელი სიტყვით. მოხსენება გააკეთა შეფმა ამხ. კიკალეიშვილმა შემდეგ თემაზე „ოქტომბრის რევოლიუცია და ერების განთავისუფლება“ზე შემდეგ! მოხსენება გააკეთა დივ. ექიმმა ამხ. გოგიტიძემ, რომელმაც მოაგონა მსმენელთ ის დიადი ოქტომბრის დღეები, რომელმაც გაანთავისუფლა მშრომელი მასსა და როგორი მსხვერპლი დასჭირდა ამ განთავისუფლებას. მან მსმენელთ დაუხატა თვალწინ პეტროგრადის ქუჩები სადაც დაიწყო ბრძოლა კაპიტალის წინააღმდეგ, რომელიც თავის ბასრ ბრჭყალებში ახრჩობდა მშრომელ მასას. შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა ავადმყოფებიდან ამხ. ივანოვმა. შემდეგ მიტინგი დახურულ იქმნა ინტერნაციონალის ჰიმნის შესრულებით.

6 ნოემბერს ჰოსპიტალის თანამშრომელნი და წითელ არმიელნი ყველა დაესწრნენ წით. არმ. ცენტრალურ კლუბში „ოქტომბრის რევოლიუციის“ გასამართლებას.

7 ნოემბერს ადგილობრივ კლუბში დადგმულ იქმნა ადგილობრივი ძალების მიერ „კომუნის კოშკი“ შემდეგ იქნა მოხსენებები და რეფერატები გაკეთებული ოქტ. რევოლიუციის დღესასწაულის შესახებ, რის შემდეგაც გაიმართა საღამო თვითმოქმედებისა.

სამხკორი **ბ. დევიძე.**

კულტურული მუშაობა

I-ლ ქართულ ლეგიონის ტყვიის მფრქვეველი გუნდი

ტყვიის მფრქვეველ გუნდში პოლიტიკური მუშაობა ძალიან ჩამორჩენილი იყო, მაგრამ ეხლა ამხ. **ელიაშვილის** მოსვლისთანავე ჩვენ გუნდში მუშაობა გამოცოცხლდა, იმართება კრებები, ტარდება ყოველ დღიურად პოლიტ-საათები, იკითხება გაზეთები და სხვა. ასეთი ენერგიულ მუშაობისათვის ვუძღვნით ამხანაგ **ელიაშვილს** პროლეტარულ სალამს და ვუსურვებთ მას, რათა დაუღალავი ყოფილიყოს მისი ენერგიული მუშაობა მომავალშიაც.

ტყ. მფ. გუნდის წ. არმიელი:
ი. დიხამინჯია.

პოლიტიკურ მუშაობისაკენ

5 ოქტომბერს 1922 წელს მეორე ლეგიონში ამხ. ბასილიას თავჯდომარეობით შედგა პოლიტხელების საერთო კრება.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1. პოლიტიკურ წრის დაარსება და 2 საავიტაციო საპროპაგანდო კოლეგიის არჩევა. ორივე კითხვებზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ნანაძე, რომელიც აღნიშნავს მათ მნიშვნელობას და მოუწოდებს ამხანაგებს წრისა და კოლეგიის წევრების ამორჩევნებისაკენ.

მოხსენების გაკეთებისა და აზრთა გაცვლა, გამოცვლის შემდეგ იქნენ ამორჩეულნი ამხ. ნანაძე, კუპრაშვილი, ვადაჭკორია, ბაიჭაძე, ბასილია და ქაავა.

უსურვებთ მათ ენერგიულ მუშაობას და პირნათლათ თავიანთ მოვალეობის აღსრულებას.

ლეგ. სამკორი **შ. შარაშენიძე.**

საგარნიზონო კლუბის გახსნა.

ამ რამოდენიმე ხნის წინად ბათუმის გარნიზონმა ამხ. სტეფანოვის და სხვების მეთაურობით გახსნა კლუბი, სადაც მეორე ლეგიონიდანაც იქნა გაგზავნილი მუდმივ სამუშაოდ ოთხი წითელი არმიელი. კლუბს ყავს თავისი გამგე რომელიც ენერგიულ მუშაობას ეწევა, რის შედეგია კლუბის სასურველ ნიადაგზე დაყენება. მეხუთე დღეა, რაც ამ კლუბში სწარმოებს პარტიის წევრთა და კანდიდატთა გამწმენდ კომისიის მუშაობა. ამ ხნის განმავლობაში პარტ. წევრები და კანდიდატები სარგებლობენ უფასო ჩაით. მისით სარგებლობა შეუძლია არა მარტო პარტიულ წითელ არმიელებს არამედ უპარტიოსაც, გაურჩევლად ეროვნებისა. გარნიზონის კლუბს დიდი მნიშვნელობა აქვს ვინაიდან იქ თავს იყრიან რუსები და ქართველი წითელ არმიელები, რომლებიც უფრო უახლოვდებიან ერთიმეორეს და მათ შორის მყარდება ძმური კავშირი. ყველა პასუხის მგებელმა ამხ ნაგებმა, რომლებიც მუშაობენ ბათუმის გარნიზონში მაქსიმუმი ენერგია უნდა გამოიჩინონ, რომ საგარნიზონო კლუბი მოაწყონ ისე, რომ ის პირველი მაგალითი იყოს მთელ საქართველოს ჯარში.

ყარაჩოხელი.

ღირსეული დამსახურება

დღითი-დღე წინ იწევს ჩვენი წითელი ჯარის პოლიტიკურად გათვითცნობიერების და კულტურულად ამაღლების საქმე, რასაც აუცილებლად მოწმობს ის გრანდიოზული შემოქმედებითი მუშაობა, რომელსაც ადგილი აქვს წით. არმიის ცხოვრებაში და, რომელიც უეჭველი თავდებია, მუშურ გლეხური ხელისუფლების თანდათანობითი გამაგრების და განმტკიცების.

წითელი ლაშქარი მაგრდება კულტურულად და თავის შესაფერ სიმაღლეზე დგება, ეს კი უმთავრესი ამოცანა არის კომუნისტური ხელისუფლების. ჩვენი ახალგაზრდა სამხედრო ხელმძღვანელების ჯარში, თავდადებული და გატაცებული მუშაობა თავის შესაფერ შედეგს აღწევს. ამას ამტკიცებს აუარებელი მაგალითები მათი მოქმედებიდან და სხვათა შორის ის ბრძანება, რომელიც გაცემულ იქმნა. საქ. რესპ. მცველ მხლებ რაზმ. უფროსის და სამხკურის მიერ, ამავე რაზმებისადმი ა. წ. 11 ნოემბ. № 179-ით, რომელთაც ამავე რაზმების პოლიტიკური ნაწილის თანაშემწეს ამხ. გიორგაძეს ეცხადება რესპუბლ. მცველ მხლის რაზმები სსახელით უღრმესი მადლობა და 2.450,000 მან. დაჯილდოვება, მისი ენერგიული და დაუღალავი მოღვაწეობისათვის, ქართული წითელი ლაშქრის კულტურულსა თუ ნივთიერად მოღონიერება სფეროებში, მუშურ გლეხურმა ხელისუფლებამ თავის დროზე იცის დაფასება ყველა დასაფასებელისა. ჭეშმარიტად ღირსეული ჯილდოა ღირსეულ მომუშავისა.

ვაშა, ასეთ ხელმძღვანელებს და მათ გატაცებულ მუშაობას, რომელიც ჩვენი წითელი ლაშქრის უკეთეს მომავლის შემქმნელია.

მადლობა შეფს

დიდ მადლობას უცხადებთ ჩვენს შეფს ჯანმრთელობის სახალხო კომისრის მოადგილეს ამხ. კიკალეიშვილს რომელმაც ინახულა ჩვენი დივჰოსპიტალი, რომელიც დაათვალიერა და ოქტომბრის დღესასწაულისათვის საჩუქარი უძღვნა თანამშრომლებს წითელ არმიელებს და ავადმყოფ წითელ არმიელებს 70 ცხვირსახოცი 128 ბოთლი ღვინო 146 კოლ. პაპიროსი, ხუთი მილიონი ფულად და 10 სიცხის გასაზომი.

სამხკორი **ბ. დევიძე.**

ბოლო მოუღეთ ბოროტმოქმედებას

ბევრი რამ ითქვა თბ. მცვ. მხლ. ათასეულის ქსენონზე გაზ. „წითელ არმიელის“ ფურცლებზედ და აღინიშნა ის არა სასიამოვნო მოვლენები, რომლებსაც აქვს ადგილი ჩვენ ქსენონში. ვერ წარმოგიდგენია თუ რატომ ჰქვია მას ქსენონი, კუთხეებში მხოლოდ რამოდენიმე, ცარიელი ქილები ყრია კიბალიჩენკო, ვინ იცის როგორ არ ექცევა არმიელებს მისგან არა ერთხელ მიუღიათ წ. არმიელებს უდიერი სიტყვები სიმართლე თხოულობს აღინიშნოს. რომ მას ამ ორი დღის წინად წ. არმიელს ქიტოშვილისათვის საექიმო დახმარების აღმოჩენაში შვიდასი ათასი მან. გამოურთმევია. რაშია საქმე?! ნუ თუ ასეთი უყურადღებობა შეიძლება? დროა, ბოროტმა პირებმა იგრძნონ მართლ მსაჯულება რევოლიუციისა.

დუპ—ტი.

ოფიციალური განყოფილება

ცირკულიარი № 33

ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტიკური განყოფილება.
ქ. თბილისი.
18 ნოემბერი 1922 წ.

უკანასკნელ დროს მოვლენილმა სტიქიურმა უბედურებამ დიდი ზიანი მიაყენა დასავლეთ საქართველოს: ნიაღვრებმა ბევრ ალაგას გაანადგურა მოსავალი, დაანგრია სახლკარი. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მიერ იქმნა მიღებული ზომები დაზარალებულთა დახმარებისათვის, რისთვისაც გაღებულ იქმნა თანხა დამშეულთა დამხმარე კომიტეტის ფონდიდან. პოლიტგანყოფილებამ, გაითვალისწინა რა რომ დაზარალებულთა რიცხვში ბევრია წითელ არმიელთა ოჯახებიც თავის დროზე მიმართა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს მათ დახმარების შესახებ, რის პასუხათ მივიღეთ, რომ აღნიშნული ოჯახებიც მიიღებენ დახმარებას ზემოაღნიშნულ გაღებულ ფონდიდან. აგრეთვე მიღებულ იქმნა ზომები რათა წითელ არმიელები რომლებსაც წყალდიდობამ ზარალი მიაყენა ოჯახში გაშვებულ იქმნენ შვებულებაში პირველ რიგში.

გაცნობებთ რა ყოველივე ამას წინადადებას გაძლევთ რათა მჭიდრო კავშირი იქონიოთ ადგილობრივ აღმასკომთან და პარტკომთან, მიიღოთ მონაწილეობა მათთან არსებულ განმანაწილებელ კომისიის მუშაობაში, რათა დაზარალებულ წითელ არმიელთა ოჯახებს პირველ რიგში მიეცეს დახმარება.

დედანზე ხელს აწერენ, პოლიტგანყოფილების უფ. **გობეჯიშვილი.**
საორგანიზაციო ნაწილის უფროსი
მარკ როვი.

„2 ლეგიონის საავადმყოფოში დიდ უწესოებას აქვს ადგილი. ექიმები და ფერშლები წითელ-არმიელთ არ უვლიან... არ აძლევენ საცვლებს.

გაზ. წ. არ. № 145

საჭიროა ჩვენს ლაშქარს
მიექცეს ყურადღება,—
თუ ექიმ-ფერშალთაგან
რა დღეები ადგება.

ეყოთ იმათ ამდენი
უქმად თავის აგდება

ეს საკითხი, გაზეთში,
ათასჯერ იბეჭდება,
მაგრამ ყურის მგდებელი
არსაით იჭედება.

დროა გამოიძიონ
თუ ასეთი რამ ხდება.

თორემ კვლავ დამჭირდება
ყუმბარის გადაგდება,
რომლის გრიალში, რისხვა
სხვაგვარად გაჩაღდება

და მუხად დაეცემა
ვინც ჩვენში ყაჩაღდება.

დაშნა.

ჩვენი ფოსტა

ამხ. **მეტრეველს** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება. იმეცადინეთ მოგვაწოდეთ კორესპოდენციები ნაწილის ცხოვრებიდან.

ამხ. **ჯურლულიას** შემოიარეთ რედაქციაში.

ვ. ბესოშვილს შემოიარეთ რედაქციაში.

ამხ. **ი. ნიკოლაიშვილს** საჩქაროთ შემოიარეთ რედაქციაში.

ამხ. **ისარს** გთხოვთ შემოიაროთ რედაქციაში.

ნება დართულია სამხედრო ცენზორისაგან.
პასუხისმგებელი რედაქტორი **პ. ქუთათელაძე.**